საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5437
20/09/2022

5437-21-2-202209201248

ი/მ გოდერძი მათიაშვილს
მის: ყვარლის მუნიციპალიტეტი სოფ. ჭიკაანი
ელ. ფოსტა: garemo.telavi@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4235 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭიკაანში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ განხორციელდა ობიექტის განთავსების ტერიტორიის (მიწის ნაკვეთის წინა ნომერი: 57.03.59.000.382) გაერთიანება მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან (მიწის ნაკვეთის წინა ნომერი: 57.03.59.000.436), შესაბამისად, ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;
- მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად აგრეთვე დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 11 აპრილს, ობიექტის ტერიტორია, რომელზეც განთავსებულია ნავთობპროდუქტების ავზები და ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურა, იჯარის ხელშეკრულებით, დროებით სარგებლობაში გადაეცა შპს „პრემიუმს“. შესაბამისად, სკრინინგის განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნას საქმიანობის განმახორციელებლის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო